

ენა და ენათმეცნიერება

ასაკთან დაკავშირებული იდიომები და კულტურული კოდები თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში

ანა ჯანკვეტაძე

ana.tchankvetadze@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2025.1.25.06>

სტატიაში განხილულია თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში სემანტიკურ მნიშვნელ „ასაკთან“ დაკავშირებული ფრაზეოლოგიური ერთეულების ანალიზის შედეგად გამოვლენილი კულტურული კოდები და მათი ერთეულები. კერძოდ, ანტროპომორფული კულტურული კოდი (*"Wet behind the ears"*, *"Baby in arms"*), ბიომორფული კულტურული კოდი (*"Don't teach your grandmother to suck eggs"*, *"Never offer to teach fish to swim"*), ფერთა კულტურული კოდი (*"In one's green years"*, *"Out of a clear blue sky"*) და ანთროპონიმების კულტურული კოდი (*"St. Martin's summer"*, *"One's old Dutch"*). ასევე, სტატიაში მოცემულია რამდენიმე ფრაზეოლოგიური ერთეულის წარმოშობის და გამოყენების ისტორია.

საკვანძო სიტყვები: ასაკი, კულტურული კოდები, ფრაზეოლოგია, ქართული და ინგლისური ენები.

თანამედროვე სამყაროში ლინგვისტები არ კარგავენ ფრაზეოლოგიური ერთეულების კვლევისადმი ინტერესს. პირიქით, ფრაზეოლოგიური ერთეულების კვლევის აქტუალობამ და მათმა ხშირმა გამოყენებამ განაპირობა სიღრმისეული კვლევების ჩატარება ამ მიმართულებით. ქვემოთ მოცემული სტატიის მიზანს სწორედ ფრაზეოლოგიური ერთეულების კვლევა-ძიება და შემდეგ მათი ანალიზი წარმოადგენს, კერძოდ კი ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, რომლებიც დაკავშირებულია კონცეპტ „დროსთან“.

სტატიაში წარმოდგენილია ფრაზეოლოგიური ერთეულების ანალიზის შედეგად გამოვლენილი კულტურული კოდებისა და მათი ერთეულების მაგალითები; მოცემულია უმეტესი ერთეულების წარმოშობის და გამოყენების ისტორია; ასევე ფრაზეოლოგიური ერთეულები კლასიფიცირებულია მათი მნიშვნელობის გამოყენების მიხედვით ქართულ და ინგლისურ ენებში.

ა. ჭანკვეტაძე

სტატიის კვლევა განხორციელდა კოგნიტური ლინგვისტიკის თეორიულ ფრეიმში. კოგნიტური ლინგვისტიკა არის ინტერდისციპლინარული მიდგომა ენის, გონებისა და სოციოკულტურული გამოცდილების შესასწავლად, რომელიც პირველად გაჩნდა 1970-იან წლებში (ევანსი 2011). კოგნიტურ ლინგვისტიკას ახასიათებს ენის შესწავლისას მნიშვნელობისა და ფორმის განუყოფლობისადმი ერთგულება. კოგნიტური ლინგვისტიკის მიხედვით, ენა ასახავს შემეცნების ზოგად ასპექტებს, ვიდრე გონების მოდულარული ხედვის მიღებას. ენა საუკეთესოდ არის შესწავლილი გამოყენების კონტექსტში და მართლაც გამოდის მისგან. შემეცნებითი ლინგვისტები ძირითადად ორიენტირებული არის კვლევის ორ ზოგად მიმართულებაზე: ენის ორგანიზაციის შესწავლა (გრამატიკის შემეცნებითი მიდგომები) და ენა, როგორც კონცეპტუალური სტრუქტურის ასპექტების შესწავლის საშუალება (კოგნიტური სემანტიკა). კოგნიტური ლინგვისტიკა არის სულ უფრო გავლენიანი მიდგომა კოგნიტურ მეცნიერებაში, სოციალურ მეცნიერებებში და გამოყენებითი ლინგვისტიკაში (სეპარი 2021).

კოგნიტური ლინგვისტიკას წარმოშობა უკავშირდება შემდეგ მეცნიერებს: როლანდ ლანგაკერი (1987–1991), რომელმაც შეიმუშავა შემეცნებითი გრამატიკის თეორია; ჯორჯ ლაკოფი (1987), რომელმაც იმუშავა მეტაფორაზე, ლექსიკურ სემანტიკასა და გრამატიკას კატეგორიზაციაზე; და ლეონარდ ტალმი (2000), რომელიც სწავლობდა გრამატიკის კონცეპტუალურ საფუძველს. ასევე კოგნიტურ ლინგვისტიკას საფუძველი ჩაუყარა ლაკოფმა და ჟონსონმა (1980), რომლებმაც განავითარეს კონცეპტუალური მეტაფორის თეორია და ჟონსონი (1987), რომელმაც შეიმუშავა გამოსახულების სქემის თეორია რომელიც წარმოიშვა კონცეპტუალურ მეტაფორებზე მუშაობის შედეგად.

ენა არის ადამიანის განსაკუთრებული შემეცნებითი უნარი, უფრო კონკრეტულად კი ინტელექტუალური პროცესების შემეცნების, რომელიც პასუხისმგებელია ლინგვისტური და არალინგვისტური ცოდნის შენახვაზე და აღდგენაზე. კოგნიტური ლინგვისტიკა აერთიანებს სხვადასხვა ფართოდ გავრცელებულ ჰიპოთეტურ გზებს, რომლებიც დაკავშირებულია ლინგვისტურ მნიშვნელობასა და სტრუქტურასთან და იზიარებენ შემდეგ წინაპირობას: ენა არის შემეცნების ცენტრალური ნაწილი და ის ასახავს სოციალური, ფსიქოლოგიური და ინფორმაციული ელემენტების ურთიერთობას, რომელიც უნდა იყოს აღქმული კონცეპტუალიზაციისა და გონებრივი დამუშავების გონივრული პერსპექტივის გზით (ლი 2021).

კოგნიტური სემანტიკა ენობრივ მნიშვნელობას განიხილავს როგორც კონცეპტუალური სტრუქტურის გამოხატულებას, ის არ არის ინტეგრირებული თეორია. ის ეხება ფსიქიკის გამოკვლევას და მის კავშირს

ეპიტომიზებულ აზროვნებასა და კულტურასთან გამკლავების გზას. იგი აგრძელებს ენის, როგორც ძირითადი მეთოდოლოგიური ინსტრუმენტის გამოყენებით კონცეპტუალური ორგანიზაციისა და სტრუქტურის გამოსავლენას. როგორც ლეონარდ ტალმიმ (2000) აღნიშნა, კოგნიტური სემანტიკა არის კვლევა კონცეპტუალური შინაარსისა და მისი ასოციაციის შესახებ ენაში.

სტატიის კვლევის მეთოდოლოგიის საფუძველს წარმოადგენს ინტერდისციპლინური მეთოდოლოგია. კონცეპტი „დროის“ კვლევა განხორციელებულია ლინგვისტიკის, კულტუროლოგიის, ფილოსოფიისა და ანთროპოლოგიის მონაცემთა ანალიზის საფუძველზე.

კვლევის შედეგად გამოვლინდა „დროის“ კონცეპტის სტრუქტურაციის შემდეგი პრინციპები:

- „ზოგადისა“ და „ერთულის/განსაკუთრებულის“ მიმართების პრინციპი. კონცეპტის სხვადასხვა სეგმენტისათვის ერთმანეთი იმდენადაა „თავისი“, რამდენადაც ისინი იგივეობრივია თითოეულის კონცეპტუალურ სტრუქტურაში „დროის“ კონცეპტუალური მარკერის არსებობის ხარჯზე და იმდენადაა „სხვა“, რამდენადაც ისინი განსხვავდება ერთმანეთისაგან მათ მიერვე წარმოდგენილი პერსპექტივით - განზომილებით.
- ცოდნის ინტერსუბიექტურობის ცნება. არსებობს პერსპექტივების თანაზიარობა, თუმცა მიუხედავად ამისა, ერთი და იგივე ობიექტი შეიძლება სხვადასხვა რამეს ნიშნავდეს სხვადასხვა ადამიანებისთვის. ასევე, გასათვალისწინებელია, სადაც ცოდნა არის ინტერსუბიექტური (ანუ სოციალური) არის ცოდნის სოციალური წარმომავლობა. ინდივიდები ქმნიან თავიანთი ცოდნის ძალიან მცირე ნაწილს; ძირითადი ნაწილი კი არსებობს გაზიარებულ ცოდნაში და ის გადაეცემა სოციალური ინტერაქციის საშუალებით.
- კატეგორიზაციის პრინციპი, რომელიც გულისხმობს ობიექტთა და რეალობის მოვლენათა გააზრებას კატეგორიების - განზოგადებულ ცნებათა - ჩარჩოებში.
- „დროის“ სემანტიკურ ფრეიმთა ერთეულების ლექსიკალიზაციის პრინციპი. ფრაზეოლოგიურ ველში გაერთიანებული ლექსიკალიზებული ელემენტები ქმნიან მთლიანობას, რომელიც წარმოადგენს არა ცალკეულ ელემენტთა, არამედ დანაწევრებულ ელემენტთა ურთიერთდამოკიდებულებათა ჯამს.
- სამყაროს შესახებ არსებული ცოდნის ფრეიმული რეპრეზენტაციის პრინციპი. „დროის“ კონცეპტის სტრუქტურაციას თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში საფუძვლად უდევს სამყაროს შესახებ არსებული ცოდნის ფრეიმული რეპრეზენტაციის პრინციპი. ფრეიმი

ა. ჭანკვეტაძე

წარმოადგენს გარკვეული კონცეპტის ირგვლივ ორგანიზებულ ერთეულს, რომელიც მოიცავს ძირითად, ტიპურ და პოტენციურად შესაძლო ინფორმაციას, რომელიც ასოცირდება ამა თუ იმ კონცეპტთან.

„დროის“ ფრეიმის კონსტრუირების საფუძვლებზე საუბრის დროს გამოიყოფა მასში შემავალი სამი ელემენტი (ჭანკვეტაძე 2016, 41-42):

- „ფრეიმის სიტყვა-რეპრეზენტატორის მიერ დასახელებული შინაარსის იდენტიფიცირება ფრაზეოლოგიური ველის ელემენტთა სემანტიკურ სტრუქტურაში;
- აღქმის მთლიანობის პრინციპი;
- ლოგიკური და ასოციაციური თეორიები”.

„დროის“ კონცეპტის ანალიზისას ფუძემდებლური აღმოჩნდა შემდეგი მიდგომა: ლინგვოკოგნიტური და ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომები კონცეპტის არსის ანალიზისადმი არ გამოორიცხავს ერთმანეთს: კონცეპტი, როგორც ინდივიდის ცნობიერებაში არსებული მენტალური წარმონაქმნი, წარმოადგენს სოციაუმის კონცეპტოსფეროში, საბოლოო ჯამში კი, კულტურაში შედგენის საშუალებას. „კონცეპტი, როგორც კულტურის ერთეული, აფიქსირებს კოლექტიურ გამოცდილებას, რომელიც იქცევა ინდივიდის მონაპოვრად” (ჭანკვეტაძე 2016, 49).

თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში „დროის“ კონცეპტის ენაში ობიექტივიზაციის თავისებურებათა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ „დროის“ ფრეიმთა ქსელი შედგება ისეთი კონსტრუქტებისაგან, როგორიცაა: „დროის ხანგრძლივობის ფრეიმი“, „მომენტის ფრეიმი“, „დროის ციკლური სტრუქტურული ორგანიზაციის ფრეიმი“, „დროის ლინეალური სტრუქტურული ორგანიზაციის ფრეიმი“.

„დროის ხანგრძლივობის“ ფრეიმის ენობრივი ობიექტივაცია განხორციელდა იმ ფრაზეოლოგიური ველების მეშვეობით, რომელთა ელემენტებსაც აერთიანებს შემდეგი საერთო სემანტიკური მნიშვნელობები: „დიდი ხნის წინ“; „ცოტა ხნის წინ“; „დიდი ხნის განმავლობაში“; „ცოტა ხნის განმავლობაში“; „სწრაფად“; „ნელა“; „წარმავლობა“; „პერიოდი“; „საკმარისობა“; „არასაკმარისობა“; „ასაკი“.

საკვლევ ენებში ასაკთან ასოცირებულ ელემენტებს აერთიანებს შემდეგი საერთო სემანტიკური მნიშვნელობები: „ჩვილობა“, „ახალგაზრდობა“, „შუა ხნის ასაკი“, „სიბერე“.

წარმოადგენს ამ ჯგუფში შემავალ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს:

Baby in arms – ჯერ აკვნიდან არ გადმოსულა;

Baby in the woods – გუმინდელი ღლაპი;

Wet behind the ears – დედის რძე არ შეშრობია ტუჩებზე;

The old gray mare – შუა ხნის ასაკის ქალი;

The green years - ახალგაზრდობა, სიყმაწვილის წლები;

One's salad days - არქ. ადრეული ახალგაზრდობა და ა.შ.

ადამიანის ცნობიერებაში არსებული კულტურული კოდები იმპლიციტურად მოიცავს მენტალურ-კულტურულ ორიენტირებს. აღნიშნულ ორიენტირთა იდენტიფიცირების საუკეთესო ტოპოს წარმოადგენს ენა, განსაკუთრებით კი, მისი ფრაზეოლოგიური ფონდი.

კულტურული კოდების ფრაზეოლოგიურ ობიექტივაცორთა კვლევა ასოცირდება სამყაროს ხატის იმ ასპექტთან, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული კულტურულ-ისტორიულ პლასტებთან. ფრაზეოლოგიურ ობიექტივაცორთა ანალიზი იძლევა უნივერსალიებისა და უნიკალიების გამოვლენის შესაძლებლობას.

თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში იდენტიფიცირებული „დროის“ კონცეპტის ფრაზეოლოგიური ერთეულების ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ტიპის კულტურული კოდების არსებობა (ჭანკვეტაძე 2016, 134):

- „ანტროპომორფული კულტურული კოდი“;
- ბიომორფული კულტურული კოდი;
- კულტურული კოდი;
- რელიგიური კულტურული კოდი;
- ტემპორალური კულტურული კოდი;
- სივრცითი კულტურული კოდი;
- კვანტიტატური კულტურული კოდი;
- ფერთა კულტურული კოდი;
- ანთროპონიმების კულტურული კოდი”.

სემანტიკურ მნიშვნელთან - „ასაკთან“ დაკავშირებული ფრაზეოლოგიური ერთეულების კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ისინი ვერ ასახავენ ყველა ზემოთ წარმოდგენილ კულტურულ კოდებს. მაგალითად, **კულტურული კოდი**, რომელიც გულისხმობს რაიმე მოვლენის ბუნებრივი მოვლენით სიმბოლიზირებას და კონცეპტ დროსთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიური ერთეულები ძირითადად აღნიშნავს „დროის ხანგრძლივობის ფრეიმს“ და მასში შემავალ სემანტიკურ მნიშვნელობას „სწრაფად“ ან „დიდი ხნის განმავლობაში“, „ცოტა ხნის განმავლობაში“ და არა „ასაკს“. ასევე, **რელიგიური კულტურული კოდი**, რომლის ერთეულები საკმაოდ ბევრია ქართულ ენაში, უკავშირდება სემანტიკურ მნიშვნელს „სიკვდილი“ და არა „ასაკს“.

1. ანტროპომორფულ კულტურულ კოდს, რომლის მეშვეობითაც ხდება ადამიანისა და მისი სხეულის ნაწილების რეპრეზენტაცია, მიეკუთვნება შემდეგი ფრაზეოლოგიური ერთეულები:

Smb. is a fresh hand at smth. - ახალბედა;

ა. ჭანჭვეტადე

Wet behind the ears - გუშინდელი ღლაპი;

Baby in arms - ძალიან ახალგაზრდა, ჯერ აკვნიდან არ გადმოსულა;

A green hand - ახალბედა, გამოუცდელი ადამიანი;

Knee-high to a grasshopper - საკმაოდ ახალგაზრდა, დედამიწას არ ასცილებია;

Young blood - ახალგაზრდა სისხლი, ახალგაზრდა, ენერგიული;

An old head on young shoulders - ასაკთან შედარებით მეტისმეტად ჭკვიანი;

Be on its last legs - ცხოვრების მიწურული; ცალი ფეხი სამარეში უდგას;

Young at heart - ახალგაზრდული სულის მქონე;

Long in the tooth - ბებერი, ხნიერი;

To have one foot in the grave - ძალიან მოხუცი, ცალი ფეხი სამარეში უდგას;

Get grey hairs - გაჭაღარავება, ხანში შესვლა;

There's no head like an old head - ასაკოვან ადამიანზე ჭკვიანი არავინაა;

Long in the tooth - ბებერი, ხნიერი და ა.შ.

ფრაზეოლოგიური ერთეულების კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ისეთი სხეულის ნაწილების გამოყენება ფრაზეოლოგიურ ერთეულებში როგორიცაა „ხელი“ და „ყური“ სემანტიკური მნიშვნელობით ახალგაზრდობის გამომხატველია; „ჭაღარა თმა“ და „გრძელი კბილი“ - სიბერესთან და გამოცდილებასთან, ასევე „თავიც“ - ასოცირდება სიბერესთან და სიბრძნესთან; „ფეხები“ - გამოიყენება სიკვდილთან მიმართებაში, ხოლო „გული“ და „სისხლი“ სიბერესთან შეუგუებლობას, ბრძოლასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადამიანის ფიზიოლოგიიდან გამომდინარე, ზემოდან ქვემოთ (თავიდან ფეხებამდე) სხეულის ნაწილების გამოყენება ფრაზეოლოგიური ერთეულებში კონცეპტ „დროსთან“ და მასში შემავალ „ასაკთან“ მიმართებაში ადამიანის სიცოცხლის საფეხურებს მიყვება, მის მიხედვით არის გამოყენებული და დამკვიდრებული ენაში. ეს საკითხი მომდევნო კვლევის საგანს წარმოადგენს.

2. ბიომორფულ კულტურულ კოდს, რომლის მეშვეობით ხდება ცხოველების, ფრინველების, მწერებისა და მცენარეთა რეპრეზენტაცია, ორივე საკვლევ ენებში საკმაოდ დიდი რაოდენობით ფრაზეოლოგიური ერთეულები მიეკუთვნება:

ა) ფრაზეოლოგიური ერთეულები ინგლისურ ენაში, რომლების სემანტიკური მნიშვნელობით „ასაკთან“ და „გამოცდილებასთან“ ასოცირდება:

Eggs can't teach the hen (= კვერცხები ვერ ასწავლიან ქათმებსო) - იდიომი;

Don't teach your grandmother to suck eggs (= ნუ ასწავლი ბებიას კვერცხის წოვას) – იდიომი;

Never offer to teach fish to swim (= არასოდეს შესთავაზოთ თევზს ცურვის სწავლება) – ანდაზა;

An old fox is not easily snared (= ბებერი მელა ადვილად არ ებმება მახეში) – ანდაზა ბრიტ. ინგლ.

An old bird is not /to be/ caught by (with) chaff (= ბებერ ჩიტს ქატოთი ვერ დაიჭერო) – ანდაზა ბრიტ. ინგლ.

საინტერესოა იდიომის "Don't teach your grandmother to suck eggs" წარმოშობის ისტორია, რომლის მნიშვნელობა გამომდინარეობს იქიდან, რომ თანამედროვე სტომატოლოგიის (და თანამედროვე სტომატოლოგიური პროთეზების) გამოჩენამდე ბევრ ხანდაზმულ ადამიანს (ბებია-ბაბუას) ჰქონდა ძალიან ცუდი კბილები, ან საერთოდ არ ჰქონდათ კბილები, ასე რომ, მათთვის ყველაზე მარტივი გზა იყო უმი კვერცხის ნაჭუჭში ნახვრეტის გაკეთება და შიგთავსის ამოწოვა; ამიტომ, ბებია, როგორც წესი, უკვე კვერცხების წოვის პრაქტიკული ექსპერტი იყო და არ სჭირდებოდა ვინმეს ეჩვენებინა, თუ როგორ უნდა გაეკეთებინა ეს (ტომპსონი 2017).

ამ ფრაზეოლოგიური ერთეულების ქართულ ანალოგების მოძიება შესაძლებელია ქართული იდიომების და ანდაზების სამეცნიერო ფონდში (2017). წარმოგიდგენთ ზოგიერთ მათგანს:

ბებერი რომ ჩონგურის დაკვრას ისწავლის, საიქიოს გამოადგებაო;

ერთხელ ბადეში ნაცემი თევზი მეორედ არ ეცემაო;

შენი სახუმარო კბილი დიდი ხანია მოვიცვალეო.

აღსანიშნავია, რომ ორივე ენაში „ბებერი ძაღლი“ გამოცდილებასთან ასოცირდება და ის მრავლად არის გამოყენებული ანდაზებში:

An old dog barks not in vain - ბებერი ძაღლი ტყუილად არ იყეფებსო - ანდაზა;

An old dog will learn no new tricks (=ბებერ ძაღლს ახალ ოინებს ვერ ასწავლიო) - ანდაზა;

Don't teach the dog to bark (= ძაღლს ყეფას ნუ ასწავლიო) – იდიომი.

ინგლისური ენისგან განსხვავებით, ქართულ ენაში „ბებერი ხარი“ გამოცდილებისა და სიმძლიერის სემანტიკური მნიშვნელობით გამოიყენება.

ბებერი ხარის რქანიც კი ეწევიანო;

ბებერი ხარის რქა უკეთ ხნავსო.

ბ) ფრაზეოლოგიური ერთეულები ინგლისურ ენაში, რომელიც „ასაკთან“ და „სიბრძნესთან“ ასოცირდება:

ა. ჭანჭვეტადე

დროს სიბრძნე მოაქვს –

The old mule ploughs a straight furrow (= ბებერ ჯორს სწორი კვალი გაჰყავსო) – ანდაზა. ამერ. ინგლ.;

An old ox makes (ploughs) a straight furrow (= ბებერი ხარი სწორ კვალს აკეთებსო) – ბრიტ. ანდაზა.

გ) ფრაზეოლოგიური ერთეულები ქართულ და ინგლისურ ენებში, რომლებიც ნეგატიური სემანტიკური მნიშვნელობის მატარებელია და ასაკოვანი ადამიანის დაცინვას აღნიშნავს:

ლომი დაბერდა და ვირმა წიხლი ჩაჰკრაო;

მგელი რომ დაბერდება, ძაღლების სათრევი გახდებაო;

Even hares insult a dead lion (= კურდღლებიც კი შეურაცხყოფენ მკვდარ ლომს) – ბრიტ. ანდაზა;

The timid hare dares to pluck the dead lion by the beard (= მორცხვი კურდღელი; ბედავს მკვდარი ლომის წვერით გაბრდღვნას) – ამერ. ანდაზა;

Dogs deride an old wolf (= ძაღლები დასცინიან მოხუც მგელს) – გერმ. ანდაზა;

The jackal derides an old lion (= ტურა დასცინის ბებერ ლომს) – სპარს. ანდაზა.

დ) ფრაზეოლოგიური ერთეულები ინგლისურ ენაში, რომელიც მიუთითებს მოხუცი ასაკის დადებით სემანტიკურ მნიშვნელობაზე:

There is life in the old dog yet - ბებერ ძაღლს ჯერ კიდევ შესწევს ძალა.

ე) ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც სემანტიკური მნიშვნელობით მხოლოდ ასაკის მომატებას გულისხმობს:

The black ox has trod on his foot (= შავი ხარი მიდის თავისი ფეხით) – დაბერდა – ანდაზა.

Ride the pale horse - ჩალისფერი ცხენის ტარება (რომელზედაც სიკვდილია ამხედრებული) – ფრაზა ბიბლიიდან.

3. ფერთა კულტურული კოდი, რომლის მეშვეობითაც ხდება ფერთა სიმბოლიკასთან დაკავშირებულ ხატთა რეპრეზენტაცია, ასაკთან დაკავშირებული დროის შემდეგი ფრაზეოლოგიური ერთეულები მიეკუთვნება:

ა) მწვანე ფერთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელთა ქართული ანალოგიც აღნიშნავს რაღაც ახალს, გამოუცდელს ან ძალიან ახალგაზრდას:

In one's green years (= ვინმეს მწვანე წლები) - ადრეული ახალგაზრდობა, სიყმაწვილის წლები – იდიომი;

A green hand (= მწვანე ხელი) – ახალბედა, გამოუცდელი ადამიანი – იდიომი.

The green years (= მწვანე წლები) – ახალგაზრდობა, სიყმაწვილის წლები – იდიომი.

ბ) ლურჯ ფერთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიური ფრაზები, რომლებიც ორივე ენაში უკავშირდება ცას და აღნიშნავს, როდესაც რაღაც მოულოდნელად მოხდება, თვალის დახამხამებაში:

Like a bolt from the blue (= როგორც გაელვება ლურჯი ციდან) - იდიომი;

Out of a clear blue sky (= მოწმენდილი ლურჯი ციდან) – იდიომი;

გ) ნაცრისფერი ფერი ორივე ენაში ასოცირდება, ასაკში შესვლის გარდაკიდევ აღნიშნავს სიბრძნეს და გამოცდილებას:

Get grey hairs - გაჭაღარავება, ხანში შესვლა;

Grey hairs are nourished with green thoughts (= ნაცრისფერი თმა იკვებება მწვანე ფიქრებით) – ანდაზა ბრიტ. ინგლ. შდრ.: ვირი დაბერდა და თოხარიკობა მაშინ დაიწყო / ვირმა სიბერის დროს იორღობა დაიწყო.

ანთროპონიმების კულტურული კოდი, რომელიც გულისხმობს საკუთარი სახელით რომელიმე მოვლენის სიმბოლიზირებას. ასეთი ფრაზეოლოგიური ერთეულები ინგლისურ ენაში საკმაოდ ბევრია, მაგალითად:

St. Martin's summer (= წმ. მარტინის ზაფხული) - იდიომი. შდრ.: ბებრის ყვავილობა; ეს ფრაზა აღნიშნავს უჩვეულოდ თბილი ამინდის პერიოდს გვიან შემოდგომაზე, ნოემბრის დასაწყისს. ეს ფრაზა უკავშირდება წმინდა მარტინს, რომელიც განსაკუთრებული პერსონაჟი იყო მეოთხე საუკუნეში. ის 18 წლის ჯარისკაცი გახდა ქ. ამიენში, საფრანგეთში. ზამთრის ერთ სუსხიან ღამეს მან გაიარა ქალაქის კარიბჭე და დაინახა თითქმის შიშველი მათხოვარი, რომელიც კედელზე იყო მიყრდნობილი. მარტინმა ხმლით ორად გაჭრა თავისი მოსასხამი და ნახევარი მათხოვარს მისცა (ტაიმზი 2025).

One's old Dutch - ძალიან მოხუცი, ძველთაძველი - იდიომი; "My old Dutch" (=ჩემი მოხუცი ჰოლანდიელი) ამ გამოთქმას საერთო არაფერი აქვს ნიდერლანდებთან (ფრაზების ლექსიკონი 2025). ის ხშირად მოიხსენიება, როგორც კოკნის (ლონდონური დიალექტი, ლონდონის დაბალი ფენები მდაბიური მეტყველება) რითმული ჟარგონის მაგალითი. რა თქმა უნდა, ეს არის ჟარგონის ტერმინი, რომელიც წარმოიშვა ლონდონში, მაგრამ ეს არ არის რითმიანი ჟარგონი, რადგან "Dutch", როგორც „ჰერცოგინიას“ შემოკლება, არის აბრევიატურა და არა რითმა. ტერმინი "Dutch" - „ჰოლანდიური“, რაც ნიშნავს „გამოჩენილი გარეგნობის ქალს“ ცნობილი იყო მე -18 საუკუნის დასაწყისში. ოლივერ გოლდსმიტმა მოიხსენია ეს თავის კომიკურ პიესაში "She Los to Conquer" (1773).

Before you could say Jack Robinson - იდიომი (სანამ ჯეკ რობინსონს იტყვი), ელვის სისწრაფით. ეს გამოთქმა წარმოიშვა 1700-იან წლებში, მაგრამ ჯეკ

ა. ჭანკვეტაძე

რობინსონის ვინაობა დაიკარგა. გროსის კლასიკურ ლექსიკონში (1785) ნათქვამია, რომ ის იყო ადამიანი, რომელიც ნაცნობებს ისეთი ხანმოკლე ვიზიტით ეწვეოდა, რომ ძლივს რჩებოდა დრო ეცნობებიათ ინფორმაცია მისი ჩამოსვლის შესახებ, რომ ამ დროს ის უკვე წასული იყო.

ძალზე მოხუცი, მათუსელას ხნისა – Be as old as Methuselah -, „ძველი, როგორც მეთუშალა“ არის იდიომა, რომელიც ნიშნავს უკიდურესად ძველს. მეთუშალა არის პერსონაჟის სახელი ბიბლიის ძველი აღთქმიდან, ის იყო ნოეს ბაბუა. ამბობენ, რომ მეთუშალა 969 წლის ასაკში გარდაიცვალა, მან ყველაზე დიდხანს იცოცხლა (გრამატიკოსი 2009).

ძველი ამბავია! – Queen Ann is dead! (= დედოფალი ანა გარდაცვლილია). მოძველებული ამბების საპასუხოდ ნათქვამი სარკასტული ფრაზა, რომელიც უკავშირდება დედოფალ ანას, სტუარტის ბოლო მონარქს, რომელიც გარდაიცვალა 1714 წლის 1 აგვისტოს. მას იყენებენ, როდესაც სურთ თქვან, რომ რაღაც ძველი ამბავია ან აშკარაა. ერთ-ერთი ახსნა ამ უკუკავშირის წარმოშობის არის ის, რომ დედოფლის სიკვდილი დროებით არ თქვეს, მანამ, სანამ ჰანოვერის მემკვიდრეობა არ იყო უზრუნველყოფილი. თუმცა, ოფიციალური განცხადების გაკეთების დროისთვის დედოფალი ანას სიკვდილი უკვე ყველასათვის ცნობილი იყო (გაერთიანებული სამეფოს ოფიციალური ვებსაიტი 2025).

“When Adam was a boy”- „ადამის ყამიდან“; „ადამ და ევას დროიდან“;

The old gray mare (=მოხუცი გრიე მერი) - ხანში შესული ქალი; ეს იდიომა პირველად დაფიქსირდა სტეფან ფოსტერის სიმღერაში, რომელიც ეძღვნება მე-19 საუკუნეში გამართული ცხენების რბოლის მონაწილე ცხენს, სახელად ლედი საფოკი. სიმღერა ასე იწყება: “The old gray mare, she ain’t what she used to be” (= მოხუცი გრიე მერი, ის აღარ არის ის, რაც იყო ბევრი წლის წინ). ინგლისურ კულტურაში ლედი საფოკი ასოცირდება ხანში შესულ ქალთან (იდიომების თავისუფალი ლექსიკონი 2025).

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, ასაკთან მიმართებაში საკვლევ ენებში შეინიშნება როგორც უარყოფითი, ისე დადებითი კონოტაცია: „ახალგაზრდა სისხლი“, „ბებერი ლომი“, „ბებერი ხარი“ (დადებითი კონოტაცია), “wet behind the ears“, “young blood“, “old chap“, “one’s old Dutch“ (დადებითი კონოტაცია), „დედის რძე/ხსენი არ შემოვბია ტუჩებზე“, „ცას გამოევიდა/გამოეკერა“, „ბებერი ძაღლი“ (უარყოფითი კონოტაცია), “There’s many a good tune played on an old fiddle“, “There’s life in the old dog yet“ (დადებითი კონოტაცია).

ორივე საკვლევ ენაში იკვეთება ხანდაზმულობისა და გამოცდილების ასოციაციური კავშირი, თუმცა ინგლისურ ენასთან შედარებით,

ქართულში გაცილებით უფრო მკვეთრია აღნიშნული კავშირის ენობრივი ობიექტივაცია. ენობრივი ობიექტივაციის სიმკვეთრის ერთ-ერთ კრიტერიუმს წამოადგენს ერთეულთა რაოდენობრივი მაჩვენებელი - ქართულში ფიქსირებული ერთეულების რაოდენობა ჭარბობს ინგლისურ ენაში ფიქსირებულ ერთეულთა რაოდენობას: “An old dog barks not in vain” – „ბებერი ძაღლი ტყუილად არ იყეფებს“; „ბებერი ხარის რქა უკეთ ხნავსო“; „ხანდაზმულ კაცს სიზმარიც დაეჯერება“; „ბერიკაცის ნათქვამიო, ბევრჯერ არის მართალიო“ და ა.შ.

თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში „დროის“ კონცეპტის ანალიზმა გამოავლინა საკვლევ ენებში იდენტურ კულტურულ კოდთა არსებობა. განსხვავება კი ფიქსირდება საკვლევ ენებში იდენტურ კულტურულ კოდთა ობიექტივატორების შიდა ფორმის (ხატებისა და ლინგოკულტუროლოგიური რემების) დონეზე. სწორედ ობიექტივატორთა შიდა ფორმა ავლენს ერის სულიერი კულტურის თვითმყოფადობას, ენისა და ერის დიფერენციალურ ფსიქოლოგიას.

ლიტერატურა

- გაერთიანებული სამეფოს ოფიციალური ვებსაიტი. 2025. მოძიებულია 28.01.2025. <https://www.royal.uk/anne-r1702-1714#:~:text=In%201714%2C%20Queen%20Anne%20died,George%20I%20of%20Great%20Britain.>
- გრამატიკოსი. 2009. ონლაინ ლექსიკონი. მოძიებულია 24.01.2025. <https://grammarist.com/idiom/old-as-methuselah/#:~:text=Old%20as%20Methuselah%20is%20an%20idiom%20that%20means%20extremely%20old,lived%20figure%20in%20the%20Bible.>
- ევანსი, ვივიენი. 2011. კოგნიტური ლინგვისტიკა. DOI: 10.1093/obo/9780199772810-0059. მოძიებულია 25/05/2025. <https://www.oxfordbibliographies.com/display/document/obo-9780199772810/obo-9780199772810-0059.xml>
- იდიომების თავისუფალი ლექსიკონი. 2025. მოძიებულია 29.01.2025. <https://idioms.thefreedictionary.com/the+old+gray+mare>
- იდიომების თავისუფალი ლექსიკონი. 2025. მოძიებულია 24.01.2025. <https://idioms.thefreedictionary.com/a+green+hand>
- იდიომები. ონლაინ ლექსიკონი. 2025. მოძიებულია 28.01.2025. <https://www.theidioms.com/a-bolt-from-the-blue/#:~:text=Anyway%2C%20the%20expression%20was%20first,%2C%20has%20hit%20strange%20victims.%E2%80%9D>

ა. ჭანკვეტაძე

- ინგლისური გაზეთის „ტაიმზის“ ონლაინ გვერდი. 2025. მოძიებულია 28.01.2025. <https://www.thetimes.co.uk/article/the-origin-of-st-martins-day-jk980555k>
- კოლინზის ონლაინ ლექსიკონი. 2025. მოძიებულია 24.01.2025. <https://www.collinsdictionary.com/dictionary/english/pale-horse>
- ლი, ნ. 2021. „კოგნიტური ლინგვისტიკის ძირითადი თეორიების მიმოხილვა“. თანამედროვე საგანმანათლებლო კვლევის ჟურნალი. ტ. 5, N3. ჩენგდუს ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, ლუჟოუ, სიჩუანის პროვინცია, ჩინეთი. მოძიებულია 25/05/2025. <https://ojs.bbwpublisher.com/index.php/JCER/article/view/1942/1666>
- ონლაინ ლექსიკონი. 2025. მოძიებულია 24.01.2025. <https://www.dictionary.com/browse/before-you-can-say-jack-robinson>
- ონლაინ ლექსიკონი. 2025. მოძიებულია 22.01.2025. <https://www.gingersoftware.com/content/phrases/wet-behind-the-ears/>
- სეკარი, ჩანდრა. 2021. „კოგნიტური ლინგვისტიკა: ენისა და აზროვნების შესწავლის მიდგომა“. ჰუდერაბადი, ინდოეთი. ORCI ID: 0000-0002-3584-1438; ISSN: 2456-8104 Impact Factor: 4.928 (SJIF) ტომი N 5 | Issue 24.
- ტალმი, ლეონარდი. 2000. კოგნიტური სემანტიკისკენ. კემბრიჯის გამომცემლობა. მოძიებულია 06/06/2025. <https://www.acsu.buffalo.edu/~talmy/talmyweb/TCS.html>
- ტომპსონი, ენდრიუ. 2017. ყოველდღიური გამონათქვამებისა და სახალისო ფრაზების უცნაური წარმოშობა. მოძიებულია 22.01.2025. ISBN 978-1-61243-695-1, 978-1-61243-668-5
- ფრაზების ლექსიკონი. 2025. მოძიებულია 28.01.2025. <https://www.phrases.org.uk/meanings/my-old-dutch.html>
- ქართული იდიომების და ანდაზების სამეცნიერო ფონდი. 2025. მოძიებულია 22.01.2025. <https://shorturl.at/s3yth>
- ჭანკვეტაძე, ანა. 2016. კონცეპტი „დრო“ ინგლისური ენის ფრაზეოლოგიაში ქართულთან შეპირისპირებით. დისერტაცია ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. https://old.atsu.ge/images/pdf/disertaciebi/disertacia_chankvetadze.pdf
- ჭანკვეტაძე, ანა. 2023. „ასაკთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიური ერთეულების ანალიზი ქართულ და ინგლისურ ენებში“. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კონფერენცია. იხ. სტატია: <https://ircelt.ibsu.edu.ge/#>

Language and Linguistics

A Review of Cultural Codes and Their Units Identified as a Result of the Analysis of Phraseological Units Related to the Semantic Meaning “Age” in Modern English and Georgian Languages

Ana Chankvetadze

ana.tchankvetadze@atsu.edu.ge

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2025.1.25.06>

The article discusses the cultural codes and their units identified as a result of the analysis of phraseological units related to the semantic meaning “Age” in modern English and Georgian languages. In particular, the Anthropomorphic Cultural Code (“Wet behind the ears”, “Baby in arms”), the Biomorphoric Cultural Code (“Don’t teach your grandmother to suck eggs”, “Never offer to teach fish to swim”), the Cultural Code of Colors (“In one’s green years”, “Out of a clear blue sky”) and the Cultural Code of Anthroponyms (“St. Martin’s summer”, “One’s old Dutch”). The article also provides the history of the origin and use of several units.

Keywords: age, cultural codes, Phraseology, Georgian and English languages.

In the modern world, linguists do not lose interest in research of phraseological units. On the contrary, the relevance of phraseological units and their frequent usage have led to conduct in-depth research in this direction. The article below aims to research and analyze phraseological units precisely, in particular phraseological units that are related to the concept of “time”.

The concept of “time” is diverse and inexhaustible source of material for both researchers and other scholars working in this field. In particular, the study of English phraseological units and their comparison with those in the Georgian language. The purpose of this paper is to present phraseological units, find information about their origin and use, analyze and compare them with Georgian analogues.

The scientific novelty of this article is that the article presents examples of cultural codes and their units identified as a result of the analysis of phraseological units; the history of the origin and use of most units is given; as well as phraseological units that are semantically associated with “age” and “experience”, they are classified according to the meaning of their use in Georgian and English, and finally, the researcher’s interesting conclusions are presented.

ა. ჭანკვეტაძე

The research for the article was conducted within the theoretical framework of cognitive linguistics. Cognitive linguistics is an interdisciplinary field that examines the connections between language, mind, and sociocultural experience, originating in the 1970s. This approach is defined by its belief in the inseparability of meaning and form when studying language. It also posits that language mirrors broader cognitive processes instead of following a modular perspective of the mind. Another key aspect is the view that language should be studied in its contextual use, as it arises from these contexts.

The research methodology of the article is based on an interdisciplinary methodology. The configuration of the frame network is determined by synthesizing methods developed within the framework of both linguocognitive and linguoculturological and systemic-structural theories.

The analysis of the features of objectification of the concept of “time” in modern English and Georgian languages revealed that the network of “Time” frames consists of such constructs as: “Frame of Duration of Time”, “Frame of Moment”, “Frame of Cyclical Structural Organization of Time”, “Frame of Linear Structural Organization of Time”.

The linguistic objectification of the frame - “Duration of Time” was carried out through phraseological fields whose elements are united by the following common semantic meanings: “a long time ago”; “a short time ago”; “for a long time”; “for a short time”; “quickly”; “slowly”; “transience”; “period”; “sufficiency”; “insufficiency”; “age”.

In studied languages, elements associated with Age are united by the following common semantic meanings: “Infancy”, “Youth”, “Middle Age”, “Old Age”.

The cultural codes in human consciousness implicitly include mental-cultural orientations. The best topos for identifying these orientations is language, especially its phraseological fund.

The study of phraseological objectifiers of cultural codes is associated with that aspect of the image of the world that is directly related to cultural-historical layers. The analysis of phraseological objectifiers provides the opportunity to reveal universals and uniques.

The analysis of phraseological units of the concept of “Time” identified in modern English and Georgian revealed the existence of the following types of cultural codes (Chankvetadze 2016, 134):

- Anthropomorphic cultural code;
- Biomorphic cultural code;
- Cultural code;
- Religious cultural code;
- Temporal cultural code;

- Spatial cultural code;
- Quantitative cultural code;
- Color cultural code;
- Anthroponym cultural code.

The researcher only discusses and analyzes those cultural codes which are associated with the semantic meaning "Age" in this article.

The following phraseological units belong to the **Anthropomorphic Cultural Code**, through which humans and their body parts are represented:

Smb. is a fresh hand at smth. – (in Georgian it means - ახალბედა);

Wet behind the ears - გუშინდელი ღლაპი;

Baby in arms - ძალიან ახალგაზრდა, ჯერ აკვნიდან არ გადმოსულა;

A green hand - ახალბედა, გამოუცდელი ადამიანი;

Knee-high to a grasshopper - საკმაოდ ახალგაზრდა, დედამიწას არ ასცილებია;

Young blood - ახალგაზრდა სისხლი, ახალგაზრდა, ენერგიული;

As a result of the study of phraseological units, the researcher concludes that the use of such body parts in phraseological units as "hand" and "ear" is semantically expressive of youth; "gray hair" and "long teeth" are associated with old age and experience, and "head" is associated with old age and wisdom; "legs" are used in relation to death, and "heart" and "blood" are used in relation to incompatibility with old age, struggle. At first glance, we can conclude from this that, based on human physiology, the use of body parts from top to bottom (from head to toe) in phraseological units follows the stages of human life in relation to the concept "time" and the "age" included in it, and is used and established in the language accordingly. In addition, this issue requires more in-depth research.

A fairly large number of phraseological units in both languages belong to the **Biomorphic Cultural Code**, through which animals, birds, insects, and plants are represented:

a) Phraseological units in English language, the semantic meaning of which is associated with "age" and "experience":

Eggs can't teach the hen (= კვერცხები ვერ ასწავლიან ქათმებსო)

Don't teach your grandmother to suck eggs (=ნუ ასწავლი ბებიას კვერცხის წოვას)

Georgian equivalent of these phraseological units are the following:

ბებერი რომ ჩონგურის დაკვრას ისწავლის, საიქიოს გამოადგებაო;

ერთხელ ბადეში ნაცემი თევზი მეორედ არ ეცემაო .

შენი სახუმარო კბილი დიდი ხანია მოვიცვალე

b) Phraseological units in the English language associated with "age" and

ა. ჭანჭვეტაძე

“wisdom”:

The old mule ploughs a straight furrow (= ბებერ ჯორს სწორი კვალი გაჰყავსო);

An old ox makes (ploughs) a straight furrow (= ბებერი ხარი სწორ კვალს აკეთებსო).

c) Phraseological units in Georgian and English languages that carry negative semantic meaning and denote ridicule of an elderly person:

ლომი დაბერდა და ვირმა წიხლი ჩაჰკრაო;

მგელი რომ დაბერდება, ძაღლების სათრევი გახდებაო;

Even hares insult a dead lion (= კურდღლებიც კი შეურაცხყოფენ მკვდარ ლომს).

d) Phraseological units in English language that indicate the positive semantic meaning of old age:

There is life in the old dog yet - ბებერ ძაღლს ჯერ კიდევ შესწევს ძალა.

e) Phraseological units that semantically refer only to increasing age:

The black ox has trod on his foot (= შავი ხარი მიდის თავისი ფეხით) – დაბერდა.

Ride the pale horse - ჩალისფერი ცხენის ტარება (რომელზედაც სიკვდილია ამხედრებული).

The **Cultural Code of Colors**, through which icons related to color symbolism are represented:

a) Phraseological units related "green", whose Georgian analogue denotes something new, inexperienced, or very young:

In one's green years (= ვინმეს მწვანე წლები) - ადრეული ახალგაზრდობა, სიყმაწვილის წლები.

b) Phraseological phrases related "blue", which in both languages are related to the sky and indicate when something happens suddenly, in the blink of an eye:

Out of a clear blue sky (= მოწმენდილი ლურჯი ციდან).

c) The color gray is associated in both languages to aging, also signifies wisdom and experience:

Get grey hairs - გაჭაღარავება, ხანში შესვლა;

The Cultural Code of Anthroponyms, which involves symbolizing an event with its own name. There are quite a few such phraseological units in the English language, for example:

One's old Dutch;

Before you could say Jack Robinson;

The old gray mare.

Based on the above, we can conclude that both negative and positive connotations are observed in the study languages regarding "Age". In both study

languages, the associative connection between old age and experience is evident, although in Georgian, compared to English, the linguistic objectification of this connection is much sharper.

To sum up, the analysis of the concept of “Time” in modern English and Georgian languages revealed the existence of identical cultural codes in the studied languages. The difference is fixed at the level of the internal form of the objectivators (icons and linguocultural rhemes) of identical cultural codes in the studied languages. It is the internal form of the objectivators that reveals the identity of the spiritual culture of the nation, the differential psychology of the language and the nation.